№ 55
ოთხშაბათი 13 მარტი, 1902 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერი შაურ.

,,ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1902

ივერია

№ 55
ოთხშაბათი 13 მარტი, 1902 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც.
საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.

,,ივერიის" ტელეფონი № 227.

ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

1 მარტიდგან წლის დამლევამდე გაზეთი
,,ივერია"

ღირს **რვა მანეთად და თხუთმეტ შაურად** (8 მ. და 75 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის" რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანნიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія". ტელეფონი № 227.

უნივერსიტეტებისა და სხვა მაღალ სასწავლებელთა მოსწავლე სტუდენტების დამხმარებელ საზოგადოების დამაარსებელთ ამით ვიწვევთ და ვსთხოვთ, რაკი უკვე მოვიდა დამტკიცებული წესდება ამ საზოგადოებისა, მობრძანდნენ და ბჭობა იქონიონ იმ საორგანიზაციო ღონისძიებათა შესახებ, რომელთა მიღებაც საჭიროა საზოგადოების მოქმედების დასაწყებად. ბჭობა დანიშნულია საარტისტო საზოგადოების სადგომში, 17 მარტს, საღამოს 8 საათზედ. ამასთანავე ვსთხოვთ მობრძანდნენ ყველა ისინიცა, ვინც თანაუგრძნობს საზოგადოების აზრს და დანიშნულებას და მსურველია მიიღოს მონაწილეობა მისს მოღვაწეობაში. (3—1)

ქუთაისის საიუბილეო კომისია ამით აცხადებს, რომ 14 ამ თვეს (მარტს) ქუთაისში მოწვეული იქნება სახელოვანი მსახიობი **ვასო აბაშიძე**, რომლის 25 წლის სასცენო მოღვაწეობის პატივსაცემლად გაიმართება ამ დღესვე საღამოს ქალ. თეატრში **საიუბილეო წარმოდგენა.** წარმოდგენაში იუბილიარის გარდა მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ტფილისის დრამატიულ დასის მსახიობნი. იუბილიარს წარუდგებიან დეპუტაციები, წაუკითხავენ ადრესებს და ბოლოს გაიმართება აპოთეოზი.

ქუთ. საიუბილეო კომისია უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვინც-კი აფასებს ქართულ სცენას და განსაკუთრებით ქებულ მსახიობის ვასო აბაშიძის ნიჭს, კეთილ-ინებონ და დაესწრენ ქუთაისში 14 ამ თვეს საიუბილეო დღესასწაულს. დეპეშები და საჩუქრები შეიძლება გამოგზავნილ იქმნას საიუბილეო კომისიის სახელზედ ქუთაისში, ვასილ ბეჟანიშვილის მაღაზიაში. (2—უ.—1)

ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა აცხადებს თავისს წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირის, ამა წლის 24 მარტისათვის, დანიშნულია წევრთა **წლიური საზოგადო კრება.** კრება მოხდება დილის 10 საათზედ, ფოთის ქალაქის გამგეობის სადგომში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება 1901 წლის ანგარიშისა.
2. დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1902 წლისათვის.
3. არჩევანები გამგეობის თავმჯდომარისა და ერთის დეპუტატისა იმათ ნაცვლად, რომელთაც სამსახურის ვადა გასდით.
4. არჩევანები საბჭოს ხუთის დეპუტატისა იმათ ნაცვლად, რომელთაც სამსახურის ვადა გასდით.
5. არჩევანები სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათის კანდიდატებისა.

საზოგადოების წესდების მე-36 §-ის ძალით რწმუნებანი საზოგადო კრებაში მონაწილეობისათვის უნდა წარედგინოს გამგეობას სამის დღით ადრე კრებამდე, ე. ი. არა უგვიანეს ამა წლის 20 მარტისა. (3—ნ.—3)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე ს-ა ექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტეროლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.)

ექიმი
ვახტანგ ღამბაშიძე

სწამლობს შინაგანსა და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 11-მდე და საღამოს 5-დგან 7-მდე. რეუტის ქუჩა, № 24. (წ.)

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი
ექიმი

სწამლობს სიფილისსა და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ყელისა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს", ჟუკრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნვით.
კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი, 5—6 ს. საქირურგო და კანისა.
ა. ნ. შპაკოვსკი. 6 7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.
გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасаріанца. Тифлисъ, противъ памят. Воронцова. (წლ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.
მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 ს., გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.
ე. გ. ფედოროვი—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.
გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.
ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.
ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.
კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.
დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი, 12—1 საათ.
ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.
სტ. ა. ვოინო—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.
გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა, 5—6 საათ. მიკრო-ქიმიური და საბაქტეროლოგო გამოკვლევანი.
გ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა, 7—8 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

ვასილ აბაშიძის 25 წლის მოღვაწეობის დღესასწაული.

დილითა და საღამოთი გამართულ წარმოდგენების წმინდა შემოსავალი (ხარჯს გარდა) იყო: 1150 მანეთი. ამას გარდა, ფულად მიღებულ იქმნა: 1) ბაქოდამ 410 მან., (ამ ფულით მომგებიანი ბილეთია შეძენილი); 2) ქიათურიდამ 200 მან., 3) კავკავიდამ 110 მანეთი; 4) თავ. გ. ს. გოლიცინისაგან 100 მან., 5) ქ-ნ სარაჯიშვილისაგან 100 მან., 6) ბაქოელებისაგანვე 100 მანეთი, 7) ბათუმიდგან 100 მან., 8) ფოთიდგან 100 მან. 9) ოზურგეთიდგან 61 მან. 70 კაპ., 10) გურიიდგან 60 მან., 11) გორიდგან 35 მან., 12) ნოვოროსიისკიდგან 30 მან., 13) ცხინვალიდგან 27 მან., 14) იქიდგანვე 10 მან. ეს ფული ზოგი თვით აბაშიძის სასარგებლოდ არის გამოგზავნილი, ზოგიც არტისტთა დამხმარებელ ფონდის გასაძლიერებლად.

საჩუქრები მიიღო: 1) დრამატიულ საზოგადოების გამგეობისაგან—ვერცხლის გვირგვინი, 200 მანეთად ღირებული; 2) კნეინა ნინო ჩოლოყაშვილისაგან—ვერცხლის საპაპიროსე; 3) რკინის გზის მოხელეთაგან—ყავის ვერცხლის სერვიზი; 4) ქვემო-ჭალის სცენის მოყვარეთაგან შევერცხლილი ხონჩა და წყვილი ჯიხვი; 5) კადეტთა კორპუსის ქართველ მოსწავლეთაგან—ვერცხლის დიდი ჰიქა; 6) ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლეთაგან—შექსპირის სრული თხზულებანი; 7) ტფილისელ მოსწავლეთაგან—ორი ვერცხლის ჰიქა და 8) ვერცხლის საპაპიროსე, რომელზედაც ამოჭრილია: „საბურთალოს მიკიტან ივანე გალდავასაგან ონჯე სუხოია". ამას გარდა როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, ვ. აბაშიძეს საგარაკო მიწები უძღვნეს სავანესა და თიანეთში.

ზოგიერთებმა ვერ მოასწრეს კვირისთვის ადრესების გამოგზავნა. კვირის შემდეგ მიღებულ იქმნა შემდეგი ადრესები: საჩხერედგან (ორი ადრესი), კავკავიდგან (ქართველ სკოლისა და საზოგადოებისა), ცხინვალიდგან, ოზურგეთიდგან და მაჩხაანიდგან, საიდგანაც მიღებულ იქმნა აგრეთვე ლექსი დიმიტრი მაჩხანელისა, რომელიც აქვე მოგვყავს:

მოლოცვა ქიზიყიდამ
(ვასილ ალექსის ძე აბაშიძეს).

ხომ გახსოვს, ძმაო, ქიზიყელები
რა აღტაცებით გეგებებოდნენ,
როცა ქიზიყის სოფლურ სცენაზედ,
თუ მის გარეშე სადმე გხედავდნენ.
მთელმა ქიზიყმა გიძღვნა სალამი,
ტკბილათა ჰსვამენ შენს სადღეგრძელოს
და თან ამბობენ: «გკურთხეულმც იყოს,
ვინც დაუბადა ის საქართველოს!»
შენზედ მოუბნობს დღეს საქართველო
შავი ზღვიდგანა კასპის ზღვამდინა,
მრავალ მდინარეთ გაღმივ-გამოღმივ,
ბუმბერაზ-მთების მწვერვალამდინა
მისთვის, რომ შენ ხარ დიდი მნათობი
ჯერ ისევ ნორჩის ჩვენი სცენისა,
სრული სისწორით წარმომდგენელი
ქვეყნის ათასგვარ წყენა-ღხენისა;
მისთვის, რომ შენ ხარ მაღალის ნიჭით
ბიწიერ-სულთა ცეცხლის მდებელი,
მკვდრისაც გულში გამცინებელი
და კეთილისა გამხარებელი.
აი, რისათვის გაქებს-გადიდებს
დღეს ქართველობა მთელს ქვეყანაზე.
არ დაგივიწყებს შენ საქართველო,
ვიდრე მზე-მთვარე იბრწყინებს ცაზე.
დ. მაჩხანელი.

ახალი ამბავი

✦ იმ ტელეგრამაზედ, რომელიც ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების თავმჯდომარემ თ-დმა ილია ჭავჭავაძემ გაუგზავნა საფრანგეთის სახალხო განათლების მინისტრს და ღირსან ბროსსეს, ჩვენის ისტორიკოს-არქეოლოგოსის ბროსსეს დაბადების ასის წლის თავზე მარტის 2-ს გარდახდილ წირვისა და პანაშვიდის გამო, ასუხად მიიღო:

1) ტელეგრამა საფრანგეთის სახალხო განათლების მინისტრის ჟორ ლეგისა:

„დიდად აღტაცებული ვარ მის გამო, რომ თქვენი საზოგადოება იცავს მეცნიერის ბროსსეს სახსე-

---

ფელეტონი
ერეკლე მეფე და მისი წერილები [1])
V

ქართველთა ვაჟკაცობამ ჰერატისა და ყანდაარის აღების დროს დიდი სახელი მოიხვეჭა. შაჰნადირს ისე შეაყვარეს თავი, რომ მათ დანახვაზედ პირს ღიმილი მოსდიოდა. ყანდაარის ციხის ქონგუროებზედ თოკის კიბეებით პირველად ქართველები აცვივდნენ და ღვთის რისხვა დასცეს ყანდაარელებს. სადაც გასაჭირი იყო, შაჰნადირი ქართველებს იქით მიუსევდა ხოლმე, ეშინოდა სპარსელებისა—მალე შეშინდებიან და გამოიქცევიანო. მერე, ათასი ქართველი გივი ამილახვრის სპასალარობით შაჰნადირს ორმოცი ათასად მიაჩნდა და სულ ქართველების ქებაში იყო, თავის სუფრიდგან მუდამ კერძს უგზავნიდა გამოჩენილ ქართველებსა. ოქრო-ვერცხლეულის და თვალ-მარგალიტის მრავალი საჩუქრებით აავსო ქართველობა შაჰნადირმა ყანდაარის აღების შემდეგ [2]). აქ მოვიდა ერეკლეც თავისი საყვარელი მხლებლებით და შაჰნადირმა, თავის მეორე შვილ ნასრულა-მირზასთან ერთად, თავისს ამალაში დანიშნა [3]).

შაჰნადირმა რომ ჰაიბერის კარს გზა აუქცია და შორიდგან (ერთს ღამეს 80 ვერსი მანძილი გადაიარეს ღრე-კლდეებზედ) მოუარჯამრუდში გამაგრებულ ნაზირ-ხანსა, მის კარავში ჩამოხდა 19 ნოემბერს 1738 წ., დაინახა ერეკლე ბატონიშვილი გაოფლიანებული ცხენით და დაუძახა თავისთან. ამ გაჭირვებულს ლაშქრობას აი, როგორ აუწერს ერეკლე ბატონიშვილი თავისს დასს ანნას: № 4... „ჩამოვხდით თუ არა ცხენიდგან, ნახევარი საათიც არ გავიდა, რომ ბანაკში გაისმა ლაპარაკი—შაჰი ჯარით წაბძანდა და ჩვენც უნდა გავეშურნეთო. მაშინვე ვეცით ცხენებს და სანამ შევკმაზავდით, შაჰს ორი ფარსანგი მანძილი (13 ვერსი) კიდეც გაევლო. ჩამობნელდა კიდეც, ჩვენ რომ გზას გავუდექით და ისე ჩქარა ვიარეთ, რომ ყველას გავუსწარით, წამოვეწიეთ მოწინავე ჯარის სარდალს ჰაჯი-ხანსა და გვანიშნა შაჰი საითაც მიდიოდა. მალე დავინახეთ ცეცხლის შუქი—მეჩირაღდნეები რომ მიუძღოდნენ ბნელაში შაჰსა. შაჰის ამალაში გავერიენით და სულ წინ მივდიოდით უგზო-უკვლოდ, ხან კლდეებზე ავდიოდით და ჩავდიოდით, ხან ციცაბო ფერდობებზედ მივდიოდით; ბოლოს როგორც იყო ვიწრო ხეობაში შევედით. აქ ძალიან მოგვიჭირა სიცივემ. არ ვიცოდით, როგორ გავმთბარიყავით, ლაშქარი ღმერთს ევედრებოდა შველასა, ზოგი ეშმაკსა სწყევლიდა, მაგრამ შეღავათი არავის ჰქონდა. ერთმანეთს ვეკვრებოდით გასათბობად, მაგრამ ცხენები ერთმანეთს ჰკბენდნენ და ჰიხვინებდნენ და უკან მომავალნი ფეხებს მაღლა იწევდნენ და წიხლს არიდებდნენ. რის ვაი-ვაგლახით გარიჟრაჟზე მაღალ ქედს გადავედით და არ ვიცოდით, საით მივდიოდით, საით არა. თავქვე რო დავეშვით, ლაშქარს ძალიან დაღლილობა ეტყობოდა, რაზმი არეული იყო და გუნდ-გუნდად მიდიოდნენ. შუადღის ხანს მოცვივდნენ შიკრიკები—ნასირ-ხანი შუაში მოვიმწყვდიეთ, ნასირ-ხანი ტყვეთა გვყავსო. ეს შიკრიკები აჯი-ხანის გამოგზავნილები იყვნენ და გვატყობინებდნენ—ჰაიბერს მოვუარეთო. ჯამრუდში რომ მივედით, მე სპილოების დასათვალიერებლად წავედი და იმ დროს შაჰნადირს დავენახე ნაზირ-ხანის კარავიდგან. ხელმწიფემ დამიძახა და გაკვირვებითა მკითხა—„შენც აქა ხარო?"—მაშ ვისთან დავრჩებოდი?—ვუპასუხე.—„ღმერთმა დაგლოცოსო", მიბრძანა. შემიწვია კარავში, მიბძანა იქვე გალიიდგან გამომეყვანა შავარდენი და მეჭმია რამე. მე მადლობა მოვახსენე. მერე გავიგე, რომ შავარდნები ნაზირ-ხანისა ყოფილიყვნენ; იმას მთელის ბანაკისა და ბარგი-ბარხანისათვის თავი დაენებებინა და გაქცეულიყო" [4])...

ფეშავერში შაჰნადირს გაუმქლავნეს 22 ნოემბერს იბრაჰიმ ხანისა, ძმის სიკვდილი ჭარ-ბელაქანში [5]). იბრაჰიმი ძალიან უყვარდა შაჰნადირსა და თავრიზის გუბერნატორად ჰყავნდა. მის მოადგილედ საქართველოს გამგებელი სეფი-ხანი დანიშნა, ხოლო მის მაგიერად ემირ-ასლან-ყარაყლუ. ნოემბრის 25—30 მდინარე ინდს გავიდა შაჰნადირის ჯარი, გზად რაც დახვდა წინ, სულ მოაოხრა, ზედი-ზედ აიღო ინდოეთის ქალაქები—თოხათი, შაჰბური, ლაგორი და სხ. ლაგორთან მდ. რავიზე გასვლის შესახებ ერეკლე ბატონიშვილი ჰსწერს თავისს დას ანნას: № 5 ..."ფონისაკენ მიმავალ გზას ოთხი ადლი გზა ჰქონდა, აქეთ-იქით საშინელი ჭაობები ჰქონდა. ფეხ ქვეშ ნიადაგი ტოკავდა, ადიოდა-ჩადიოდა, იზნიქებოდა ხიდივით, ზედ რომ ჯარი დგებოდა. ლაშქარი არეული იყო. მემარჯვენე და მემარცხენე რაზმების ჯარის-კაცნი ერთმანეთში იყვნენ არეულნი და გუნდ-გუნდად მიდიოდნენ. გაღმა რომ გავიდნენ, წყლის ნაპირს ისე აირივნენ, კაცი ვერას გაიგებდა. ცხენოსანი ლაშქარი ფონზე გავიდა. საცა ღრმა იყო, ცხენები უცურდებოდნენ. ღვთის განგებით მშვიდობით გავედით ამისთანა საშიშარ წყლებში"... [6])

20 თებერვალს 1739 წ. შაჰნადირი შეებრძოლა ინდოეთის მბრძანებელს მამედ-შაჰს 60 ათასი კაცით, როდესაც მამედ-შაჰს 340 ათასი კაცი ჰყავნდა და ორი ათასი მეომარი სპილო ედგა ბრძოლის ველზედ. შაჰნადირმა სამათ გაჰყო თვისი ჯარი—შუაში თითონ, მარჯვნივ ქართველთა რაზმი მოიყენა და მარცხნივ მთიული ბახტიარები. დიდად გაისარჯნენ ქართველები და ისახელეს თავი. აქ მოკლეს ოთარ ვაჩნაძე და სხვ. შაჰნადირმა ხელთ იგდო მთელი ბანაკი მაჰმედ-შაჰისა და 17 მარტს ჩამოხდა ბანაკად ინდოეთის სატახტო ქალაქის შახ-ჯანაბადის ბაღებში (დელი). მოქალაქეთა ძვირფასი ქონება და განძეულობა თან წამოიღო, აგრეთვე თვალ-მარგალიტით შემკობილი სამეფო ტახტი, 23 მილიონ მანათად დაფასებული, რომელიც დღეს თეირანის სასახლეშია. შაჰნადირი დარჩა შაჰჯანაბადში 56 დღე და უკან გამობრუნდა 16 მაისს 1739 წ. რა-კი სინდეთის მბრძანებელი ხუდაიარი ინდოეთის პატრონს არ ემორჩილებოდა და შაჰნადირსაც მაგდენად არად აგდებდა, ფარისევლურად ექცეოდა, ამიტომ გამოვლაზედ სინდეთში შეუხვია შაჰნადირმა.

შუა მანძილზედ აღმოჩნდა მოულოდნელი დაბრკოლება: უდაბურ ალაგს ამართული იყო თლილი ქვის სვეტი ზედგამოსახულ კერპით და ამ უცნაურ წარწერით. ,,ვინც ამ სვეტს იქით ფეხს გადასდგამს, დაწყევლილია ამინის უკუნისამდე ცოლით და შვილით-შვილი-შვილამდეო". ამის გამო შეგუბდა ჯარი და იმ სვეტს იქით ფეხი ვერავინ გადადგა; ათასის თა-

---

[1] იხ. «ივერია» № 54.

[2] იხ. Походы Надиръ-Шаха, Кишмишева, გვ. 146

[3] იხ. იქვე 162 გვ.

[4] ეს წერილი ბროსსეს ფრანგული ,,Histoire moderne de la Georgie" p. 357, უთარგმნია ქიშმიშევს თავისს „Походы Надиръ-шаха въ Индію"-ში (გვ. 178) და ჩვენ იქიდგანა ვთარგმნეთ.

[5] თეიმურაზი რომ გამოისტუმრა კახეთში, შაჰნადირმა დაავალა გამოევლო თავრიზში იბრაჰიმთან და ერთად ჯარით შესეულიყვნენ და დაესაჯნათ ჭარ-ბელაქნელნი, რადგანაც შაჰნადირის უფლებას არაფრად აგდებდნენ და მისგან დაყენებულს მოხელეებს ზოგსა ხოცავდნენ, ზოგს ერეკებოდნენ—აქედგან გაგვეცალეთო. აასრულეს კიდეც. ტფილისის ხანჯალ-ხანი, განჯისა უღული-ხანი, თეიმურაზი და იბრაჰიმი თავრიზის ხანი—ძმა შაჰნადირისა—შეუხდნენ 1738 წ. ღვინობისთვეში კაკსა, ჭარ-ბელაქანსა და ააოხრეს; გამობრუნებაზედ წინ ჩაუსაფრდნენ ლეკები და, ზოგი კუანიდგან მოექცნენ, მოჰკლეს იბრაჰიმ-ხანი და იფრინეს შეერთებული ჯარი ყიზილბაშ-ქართველთა. იხ. ქ.-ცხ. 342 გვ.

[6] Походы Над.-Шаха въ Индію 193 გვ.

ნებლს. თქვენი პატივისცემა მიმიჩნევია ახალ ნიშნად მეგობრობის კავშირთა, რომელნიც აერთებენ ორთავ ჩვენს ქვეყნებსა“.

2) ტელეგრამა ლორან ბროსსესი, რუსეთის კონსულისა ბარცელონას.

„კეთილშობილ ქართველთა ერის მიერ მამიჩემის მოგონებამ დიდად აღმიტაცა. გთხოვთ გადასცეთ ქართველთა წერა-კითხვის საზოგადოებას მადლობა ერთობით ჩემის სახლობისა და ჩემი პირადი თანაგრძნობაცა“.

◆ გუშინ-წინ, 11 მარტს, შესდგა წლიური კრება კავკასიის განყოფილების გეოგრაფიულ საზოგადოებისა. წაკითხულ ანგარიშიდგან სჩანს, რომ 1900 წლის 1 იანვარს საზოგადოებას ჰყოლია 315 (?) წევრი, ხოლო საანგარიშო 1901 წლის 1 იანვარს 54 წევრი; წლის განმავლობაში ჩაწერილა 40 წევრი, გასულა ორი, ერთი მომკვდარა და ერთიც გამოურიცხავთ ორი წლის ფულის შემოუტანლობისა გამო; ამ რიგად 1902 წლის პირველ იანვრს სულ 94 წევრი ყოფილა. საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოებას საყურადღებო არა გაუკეთებია-რა. ამ კრებაზე თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა მთავარმართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე, მის თანაშემწეთ ა. ს. ზელენოი, გამგე კომიტეტის წევრებად: ლ. გ. ლოპატინსკი, დ. ს. მედვედევი, ი. ს. ნოვომეისკი. ნამდვილ წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ბოგოსლოვსკი, კოლომიიცევი, ლიოზენი, მაევსკი, მორჩენკო, ტარასოვი და შაიკევიჩი.

დასასრულ ინჟენერმა მაევსკიმ წაიკითხა რეფერატი მუღანოს სარწყავ არხების გაყვანის შესახებ.

1901 წლის განმავლობაში საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია 3372 მ. 80 კაპ., დაუხარჯავს 3311 მან. 20 კაპ., ამ წელს ცალკე დაუხარჯავს 1890 წლისგან დარჩენილი ფული 355 მან. ეხლა საზოგადოებას აქვს 15,116 მან. 8 კაპ., 1902 წელს, როგორც ფიქრობენ, 3,044 მან. დაეხარჯება საზოგადოებას.

◆ მისი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა ექსარხოსი საქართველოისა ალექსი და გორის ეპისკოპოსი კირიონი ამ თვის 18, ორშაბათს, მიბრძანდებიან შუა-მთის მონასტერში და შემდეგ მოინახულებენ ალავერდს, თეთრ გიორგის, დაათვალიერებენ აწყურის სამრევლო სკოლას და სხვ.

◆ ამ თვის 17-ს, საღამოს 8 საათზე, არტისტულ საზოგადოების შენობაში დანიშნულია კრება ,,კავკასიელ ღარიბ სტუდენტთა'' დამხმარე საზოგადოების დამფუძნებელთა. კრებამ უნდა განიხილოს საზოგადოების მოწყობის საქმე, რადგანაც დამტკიცებული წესდება პეტერბურგიდგან უკვე მიუღიათ.

◆ როგორც შევიტყეთ, ტფილისის გუბერნატორს გადაუწყვეტია კიდევ მიიღოს ხოლმე თხოვნები იმათგან, ვისაც ჰსურს შვილი კადეტთა კორპუსში მიაბაროს. უკანასკნელი ვადა თხოვნების მიღებისა პირველ თებერვლამდე იყო, ასე რომ ეხლა თხოვნით მალე უნდა მიჰმართონ, რადგან შესაძლებელია თხოვნების მიღება მალე შესწყვიტონ კიდევაც.

იმერეთის ამბები:

◆ იმერეთში, არამც თუ ქუთაისს, ბათუმს და ფოთს არსებობს ქართული სტამბები, არამედ ისეთ დაბა-ქალაქებშიაც, როგორიც არის ყვირილა, ახალ-სენაკი, სოხუმი, ოზურგეთი და სხ. იმერეთის მესტამბენი შესანიშნავნი არიან მით, რომ ესენი სასტამბო წვრილმან და დიდრონ საქმეებს გარდა სხვა-და-სხვა ქართულ წიგნებსაც ბეჭდავენ.

ეხლაც, ამ უკანასკნელად, ქ. ფოთს, ლ. ტუღუშის სტამბაში იბეჭდება ერთი მეტად ძველი ქართული ხელთ-ნაწერი, მეათე საუკუნის დასასრულის ნათარგმნი ბერძნულის ენიდგან ქართულს ენაზედ გამოჩენილის მთარგმნელის ევთიმის-მიერ. ეს ვრცელი ხელთ-ნაწერი ტომი ორის წიგნისაგან შესდგება, პირველი წიგნი გახლავსთ:—„კლემაქსის“ ქმნილი სინას მთის მამასახლისისა, რომელი წიგნიც ქართულს ენაზედ ,,კიბე'' არს. ამ სახელწოდების მეორე წიგნი ,,კიბე ცად მყვანი'' ქართულს ენაზედაც მოიპოვება, XI საუკუნის დამლევს თარგმნილი ბერძნულის ენიდგან ქართულს ენაზედ ფილოსოფოსის პეტრიწის მიერ. ამ წიგნს დრეპერიც მოიხსენებს *), ზემოხსენებულის ვრცელის ტომის მეორე წიგნი გახლავსთ ,,დორეთის ცხოვრება'' სასარგებლო სწავლანი და ეპისტოლენი. პირველ წიგნს წინასიტყვაობაც მიუძღვის. წინა სიტყვაობა დაწერილია თვით მთარგმნელის ევთიმის მიერ X საუკუნის დასასრულს.

ორივ ხელთ-ნაწერი მეტად შესანიშნავის ენით არის ნაწერი. ეს წიგნი განძი იქმნება ქართულის ენის და სიტყვიერებისათვის. ხელთ-ნაწერი ძველის დედნიდამ ახლა გადმოუწერიათ და ამიტომ აქ მოვიყვან თვით ამ გადმომწერის მონაწერსაც, რომელიც წიგნის ბოლოს მოიპოვება, მაგალითებრ:—,,წიგნი ესე კლემაქსი გადაწერილ იქმნა მთასა წმიდასა ათონს 1900 წელსა, ახალ ქართველთ წმიდა მოციქულის მახარებლის მღვთის მეტყველის და მკერდ მიყრდნობილის იოანეს სავანესა შინა.—ძველის მონასტრის ივერიის ქართველთ წიგნთსაცავს შინა დაცულის პერგამენტზედ დაწერილის ნათარგმნის ბერძულიდამ, წმიდისა მამისა ჩვენისა ევთიმის მიერ''.

ამ ცნობიდგან სჩანს, რომ ეს წიგნი ვინმე ბერს ბაქრაძეს გადუწერია ათონის მთაზედ, ძველ ქართველთ მონასტერში, რომელიც თავის ძვირფასის შენობებით, ნივთებით, მდიდარის ქართულის წიგნებით და დიდის ძალის მამულებით დღეს ბერძენთ უპყრიათ... წიგნის გამოცემა უკისრნიათ თვით ახალ ივერიის მონასტრის ძმებს.

რამდენათაც ვიცით, ეს წიგნები ჩვენთვის დღემდე უცნობია, იგი სახელწოდებით ვიცით მხოლოდ. დღეს-კი შეგვიძლიან მასთან ევთიმე ქართველის სამწიგნობრო შრომის ღირსებაც და ქართველთ დიადი ენა, გავიცნოთ. ქართულ მწიგნობრობისათვის მე-X საუკუნის ამ ხელთ-ნაწერის დასტამბვა სასურველ საქმეთ უნდა ჩაითვალოს.

◆ ძლივს ფოთსაც ეღირსება, რომ აქ სპეციალური წიგნის მაღაზია არსებობდეს. წიგნის პატარა მაღაზია არსებობს და ახლა მას ადიდებენ ფოთელი ვაჭრის შვილები, ძმანი საბახტარაშვილები. ქართულ წიგნებს გარდა ამათ ექმნებათ რუსული სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნებიც. ასეთი სპეციალური წიგნის მაღაზია ფოთში დღემდე არავის ჰქონია.

◆ ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა ჩვეულებრივად მოიწვევს ყველა მეაბრეშუმეებს, რომ აბრეშუმის ჭიის თესლი შეიძინონ ამხანაგობისაგან. ამხანაგობა ჰყიდის 30 გრამ (7 მისხალი) თესლს სამ მანეთად, 25 გრამს (6 მისხალი) ორ მანეთად და 50 კაპ., 20 გრამს (5 მისხალი) ორ მანეთად, 10 გრამს (ორი და ნახევარი მისხალი) ერთ მანეთად. ამხანაგს დაეთმობა მანეთში ერთი აბაზი.—ყველა კოლოფს აზის ამხანაგობის ბეჭედი, აწერია თესლის წონა და ფასი. უმჯობესია, რომ მეაბრეშუმემ ჭია ცოტა დაიჯდინოს, რომ უკეთ მოუაროს, ვიდრე ბევრი დაიჯდინოს და მოვლა დააკლოს. ვისაც პარტიობით უნდა შეიძინოს თესლი ამხანაგობისაგან, პირობების შესატყობლად პირადად უნდა მოიქცეს ამხანაგობის სამმართველოში,

ქალაქის საბჭო.

გუშინ-წინ, 11 მარტს, ქალაქის საბჭომ განიხილა და გადასწყვიტა შემდეგი საქმეები:

1) ქალაქის გამგეობის დადგენილება ქალაქის კასის დაცვის შესახებ. შარშანდელ კასის გატეხისა და გაძარცვის გამო გამგეობამ დაადგინა, ერთი მორიგი მსახურთაგანი უნდა იყოს დაყენებული, რომ მუდამ თვალ-ყური ადევნოს უდროოთ გამგეობის სადგომში არავინ შევიდეს და განსაკუთრებით სდარაჯობდეს იმ ოთახს, სადაც კასა არის.

2) შეერთებულ კომისიის დადგენილება საფინანსო კომისიის დასკვნითურთ ხორცის ნიხრისა და ქალაქის საკუთარ საყასბოს დუქნების გახსნის შესახებ. გამგეობა სთხოვს საბჭოს ორ ათას თუმანს, რომ ქალაქმა თავისი საკუთარი ხორცის ვაჭრობა გამართოს, რადგან ამ ბოლოს დროს ძლიერ ცოტა საქონელი იკვლის და ქალაქის მცხოვრებთ ვერ აკმაყოფილებს. ამ მოხსენების წინააღმდეგნი იყვნენ ექიმი ქობორიანცი, დოლუხანოვი, ხმოსანი გრიქუროვი და სხვ. ექიმი ქობორიანცი უმტკიცებდა საბჭოს, რომ სრულიად მეტია ხორცის საკვაჭრო, ისევ სჯობია ერთი ხუთასი თუმნით დავეხმაროთ ქალაქის ყასბებს, რომ მათ მორეკონ საქონელი და მითი შეღავათი მივცეთ და ვიშუამდგომლოთ მთავრობასთან, რომ შეღავათი მისცეს ყასბებს საქონლის რკინის გზით ჩამორეკვაში. ხმოსანმა გრიქუროვმა მოახსენა საბჭოს, რომ იმისთანა კაცი არისო, რომელიც ალექსანდროპოლიდამ და ყარსიდამ მოგვაწოდებს დაკლულ საქონლის ხორცს, შევეკრათ მას პირობით, გამოვართვათ საწინდი და ასე მოვაწოდოთ ქალაქის მცხოვრებს ხორციო. ხმოსანნი არშ. ბაბოვი, თაიროვი და რამდენიმე სხვა იმ აზრისა იყვნენ, რომ ორი ათასი თუმანი და მეტიც რომ დაგვიჯდეს, უსათუოდ საჭიროა საკუთარი ვაჭრობა გავიჩინოთო. სხვა არა იყოს-რა, იმას მაინც გამოვიკვლევთ, თუ რა ჯდება გირვანქა ხორცი და რამდენად შეიძლება გაიყიდოს. საბჭომ დაამტკიცა გამგეობისა და შეერთებულ კომისიის დადგენილება, ე. ი. გადადოს ორი ათასი თუმანი ქალაქის საკუთარ საყასბოს გახსნისათვის.

3) საბჭომ დაამტკიცა გამგეობის დადგენილება, რომ 1-ლ ნოემბრიდგან 1-ლ აპრილამდე კვირაობით იუქმონ ქალაქის საყასბოს მოსამსახურეებმა, ხოლო ზაფხულობით—საღამოს 4 საათამდე.

4) საბჭომ განიხილა მეეტლეთა თხოვნა, რომ პირველ აპრილამდე ცხენების გადასახადის შემოტანა უჯარიმოთ დაეთმოთ; საბჭომ არ შეიწყნარა ეს თხოვნა და გამგეობის დადგენილება დაამტკიცა, რომლითაც მხოლოდ 15 მარტამდე შეიძლება მოხსენებულის გადასახადის დაცდა უჯარიმოთ.

5) ქართულის ენის მასწავლებლის განსვენებულის თამარ ქუჩუკაშვილის დედის თხოვნის შესახებ საბჭომ გადასწყვიტა, მიეცეს ოცი თუმანი, როგორც სასკოლო კომისიამ და გამგეობამ დაადგინა.

6) დასასრულ, საბჭომ გადასწყვიტა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე გაიხსნას ავლაბარში პროგიმნაზია და არა სამრეწველო სკოლა, როგორც საერო განათლების მინისტრმა ურჩია. ამ საგნის თაობაზე კამათის დროს ქობორიანცმა მოახსენა საბჭოს, მე გუშინ მივიღე ნამდვილი ცნობა პეტერბურგიდგან, რომ ჩვენი ცდა ტყუილი იქნებაო და მთავრობა არ დაამტკიცებს ჩვენს გარდაწყვეტილებასაო. ამაზედ აღიხანოვმა უპასუხა: მე-კი მივიღე დღეს პეტერბურგიდამ ცნობა, რომ უსათუოდ დაამტკიცებენო.

ასტყდა საზოგადო სიცილი.

კრება სიცილითვე დასრულდა 10 საათსა და 45 წუთს. ხმოსნები დაღალულნი დაიშალნენ, რადგან სრული ორი საათი მოუნდნენ ბჭობას, თუმცა 15-მდე საქმე კიდევ დარჩათ განუხილავი!

დაბა და სოფელი

დ. ყვირილა. კვირას, 3 მარტს, დაბა ყვირილის საზოგადოება იყო შეკრებილი აქაურს ნორმალურ სასწავლებლის შენობაში. უნდა მოესმინათ ორი საყურადღებო საქმე შესახებ ორის სასწავლებლის დაარსებისა 1) სამოქალაქო სასწავლებლისა, რომელიც ჯერ-ჯერობით ოთხ-კლასიანი იქნება და 2) ორ-კლასიანის საეპარქიო ქალების სასწავლებლისა. მთავრობის მიერ სამოქალაქო სასწავლებლის შესახებ იყო გამოგზავნილი სახალხო სკოლების დირექტორი ბ-ნი ს—ვი და საეპარქიო სასწავლებლის შესახებ სასულიერო სკოლების ზედამხედველი კელენჯერიძე.

სანამ სამოქალაქო სკოლის შესახებ იტყოდნენ რასმე, ბ-ნმა კელენჯერიძემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით და მარტივად და დალაგებით აუხსნა საზოგადოებას, თუ რამდენად საჭიროა და რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქალებო სასწავლებლის დაარსებას დ. ყვირილაში. მოისმინა-რა ყოველივე დამსწრე საზოგადოებამ, ერთხმად თანხმობა განაცხადა, რომ უკვე არსებული ერთკლასიანი საქალებო სასწავლებელი გადაკეთდეს ორ-კლასიანად, იქმნას მოპოვებული ალაგი შენობისათვის და ფულსაც შენობის ასაგებად ამ საქმისათვის საზოგადოება დაჰპირდა ზედამხედველს, რომ ვიტვირთებთ ნახევარს ხარჯს რაც საჭირო იქნება ამ საქმისათვის, რა-კი მეორე ნახევარს თვით მთავრობა კისრულობსო.

შემდეგ დარბაზში შემობრძანდა სახალხო სკოლების დირექტორი ბ-ნი სოკოლოვი და წაუკითხა დამსწრე საზოგადოებას რუსულად მთავრობის გარდაწყვეტილება, რომ ყვირილაში დაარსდეს ოთხ-კლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი. ვისაც რუსულად გაგონება არ შეეძლო, იმათ წაკითხული გადაუთარგმნა ბ-ნმა ომან იოსელიანმა ქართულად: მთავრობა ახლავე გადასდებს საჭირო ფულს, თუ ადგილობრივი საზოგადოებაც გამოიღებს თავისს წილ ხვედრს ფულს ნახევარის წლისას ჯერ-ჯერობით, რომ პირველ ენკენისთვეს სასწავლებელი უკვე გაიმართოსო. სანამ მოპოვებული იქნებოდეს აღნიშნულ სკოლისათვის საჭირო ალაგი და აგებული იქნებოდეს საკუთარი შენობა მანამ დროებით უნდა დაქირავებულ იქმნას სკოლისათვის შენობა, რომ ენკენისთვეში სწავლა დაიწყოს. ადგილები, რომლებსაც სწირავენ სხვა-და-სხვანი ამ კეთილ საქმეს, დაათვალიერა დირექტორმა და მოიწონა კიდეც. დამსწრე საზოგადოება დიდის თანაგრძნობით და სიამოვნებით მიეგება დირექტორის წინადადებას და დაადგინა, რომ დაუყოვნებლივ იქმნას სისრულეში მოყვანილი. ამისათვის ამოირჩიეს რამდენიმე სანდო კაცი და იმათ მიანდეს გასწერონ საჭირო ფული და მოჰკრიბონ კიდეც ამ ცოტას ხანში. ამავე არჩეულებმა უნდა მოიპოვონ დროებით ბინა სკოლისათვის და შეიძინონ საჭირო ნივთები და მოწყობილობა სკოლისათვის, რაზედაც უნდა დახარჯონ 1000 მანეთამდე.

რაც შეეხება ადგილის შეძენას და ახალის და საკუთარის შენობის აგებას, ამაზედ საზოგადოებამ პირობა მისცა ბ-ნ დირექტორს, რომ ყოველივე ესე იქნება სისრულეში მოყვანილი და შენობის აგებაც დაწყებული პირველ ივნისიდგან ამა 1902 წ.

ი. მ—ძე.

სოფ. რუისპირი (თელავის მაზრა). შედარებით მცხოვრებთა რიცხვის რუისპირელებს ადგილ-მამული ნაკლებადა აქვთ, რის გამოც იძულებულნი არიან სხვისა ადგილებით ისარგებლონ: ჰხნან და სთესონ სხვაგან და აძლიონ მიწების პატრონთ ნათოხალი. ამისთანა ადგილებია ალაზნის მარჯვენა მხარეს მდებარე მინდვრები, რომლებიც ზოგი თავადიშვილების საკუთრებაა და ზოგიც მათგან იჯარით თათრებზე გადაცემული. ასე იჯარით გადაცემული ადგილები ბოლოს ბევრმა შეძლებულმა თათარმა შეისყიდა და თავის საკუთრებათ გაიხადა. მართო ამ ზემოხსენებულ ადგილებში სარგებლობას არა სჯერდება რუისპირელი და მიდის კიდევ იყალთოს ბოლოზე, სადაც იმავე ღალას აძლევს მიწების პატრონს. სხვისის ადგილებში ჰხნავს და სთესავს ბარე ნასამედი ხალხი.

მართო თავიანთ თავს არ გაჰკიდებიათ რუისპირელთ ასე დღე-დღეობით შესახსნა, არამედ საქონელიც, ურომლისოდაც მათ დღევანდლამდის სული და ხორცი არ შეჰყვებოდათ და ცოლ-შვილს, მტერ-მოყვარეს და ხელმწიფეს ვერ გაუძღვებოდნენ. საქონლისათვის მაინც რომ ჰქონდეთ საძოვარი, მაშინ რაღა უჭირდათ რუისპირელებს, განა-და იტყოდნენ ადგილები არა გვაქვს, რომ არსაიდამ ლუკმა პურისა მაინც არ გამოგვეღებიოს? მაგრამ რა ქმნას ეხლა, როდესაც თავის თავთან ერთად საქონლის საძოვრისათვისაც უნდა იზრუნოს, სადა არის და არ არის, ძვირია თუ იაფია, უეჭველად უნდა იშოვოს საძოვარი ზაფხულში მის გამოსაკვებად. საქონლისათვის რომ საზამთრო საძოვარი ჰქონდეთ, მაშინ ზამთარში საქონლის საჭმელი ისე ადრე აღარ შემოაკლდებოდათ და სხვაგან საყიდლათ არ გაუხდებოდათ საქმე, როგორც ახლა აქვთ გამხდარი. ზაფხულობით რუისპირელები მუდამ საქონლის საძოვრად შუა-მთის მონასტრის მთას იღებდნენ, რადგან ახლო აქვთ და მასთან საძოვრის ფასზე ხელიც მიუწვდებოდათ. წარსულ წელს-კი იქაც გაძვირდა საძოვარი: სულზე სამის აბაზის მაგივრად, რასაც წინად იხდიდნენ, ოთხი აბაზი გახდა.

კარგს იზამდა შუა-მთის მონასტრის ხაზინადარი, რომ წელს საბალახეს სულზე ოთხ აბაზს

ვნი, ასის თავნი, ქეშიქჩიბაშნი და ბოლოს თვით შაჰნადირი მოილაღნენ ლაპარაკით, მაგრამ ვერა გააწყეს-რა. სად იყო, სად არა მოვიდა ერეკლე ბატონიშვილი დაღონებულ-დაძმარებულ შაჰნადირთან და როცა გაიგო მიზეზი ჯარის შედგომისა—მოახსენა ყეენს: „შე დალოცვილო, რამ დაგაღონაო? უბრძანეთ ეგ სვეტი დაშალონ, აჰკიდონ სპილოებს და წინ გაიმძღვაროს ჯარმა სპილოები მაგ სვეტიანათაო. მაშინ აღარავინ გადასდგამს სვეტს იქით ფეხსაო“.

დიდად მოეწონა შაჰნადირს გონივრული რჩევა ერეკლესი, გახარებული მოეხვია და გადაჰკოცნა. ეგრეც მოიქცნენ. ჯარი მიჰყვა სპილოებს, მიუხდნენ ხუდაიარს და დაიმორჩილეს [7]).

ქართველებმა აქ უმეტესად ისახელს თავი. ტიტველა მთა-გორიანი და ოღრო-ჩოღრო 570 ვერსის მანძილი ხმლის ქნევით გაიარეს. შაჰნადირმა აავსო მრავალის ძვირფას საჩუქრებით ქართველნი მეომარნი, მეტადრე ერეკლე ბატონიშვილი და თავად-აზნაურობა. თვით ერეკლე ბატონიშვილი დიდად გახარებული იყო თავის საყვარელ მხლებელთა თავდადებულის სამსახურით, რომელთაც დასთმეს სამშობლო მიწა-წყალი, ცოლ-შვილი, სახლ-კარი და ცხრა მთა-კი არა, ათას მთას იქით გადიკარგნენ, არ შეუშინდნენ ათას გვარ ფათერაკსა, ურჯულოთა შორის სიკვდილსა და მამა-პაპის საფლავის დაკარგვასა! არ შეუშინდნენ მრავალ გზის თვალ წინ ატუზულს სიკვდილსა! მათ ძალიან კარგად ესმოდათ, რომ მათი მხნეობა და გარჯა ინდოეთში მხოლოდ სპარსთა საერთო ინტერესების სამსახური იყო; მაგრამ რა ექნათ ბედშავებს, რომ მათი საყვარელ სამშობლოსა და მოძმეთა სიცოცხლე მაგ უკუღმართ სამსახურზე იყო დამოკიდებული ამ ხანად! ამისთანა უნუგეშო უცხოობაში ინდოეთისაკენ მეომარ ქართველთა რაზმს მხოლოდ პატარა ერეკლე ბატონიშვილი უნათებდა ბრწყინვალე ვარსკვლავივით და უძლიერებდა მოთმინებისა და ათას გვარ გაჭირვების ატანის ძალ-ღონესა. ქართველებს კარგად ესმოდათ, რომ

„სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა, „თუ მისი ფუჭი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა!
რომ—„სრულად იქმნების ალხოცილ ამ სოფლით მისი სახელი,
„გზა ცხოვრებისა ვინც განვლო და არ აღბეჭდა ნავალი!

ერეკლე ბატონიშვილის მხლებელთა და მათ მებრთა ქართველთა თავგანწირული ვაჟკაცობა [8]) ათქმევინებს აღფრთოვანებულ პოეტსა:

„ერი—გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა!
„შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ადამანტისა,
„იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა!...

ვინ იცის რამდენმა გმირმა ქართველმა ჩაყარა თავისი ძვლები—ავღანისტანში, სპარსეთში, ინდოეთში და სხ. მათი საფლავიც-კი დაიკარგა შთამომავლობისათვის, რადგან „დრომან შემუსრა, აღგავა მიწით მათნიცა საფლავნი!..
„მათი სახელი, მათ ხმალი, საქმენი სახელოვანნი!..“

მაგრამ უებრო ერეკლე ბატონიშვილმა გვიანდერძა ზოგიერთა თავის მხლებელთა სახელი თავისს წერილებში, რათა „მათი სახელი ამაყად წარმოსთქვას შთამომავლობამ,“
რათა „მათთა საქმეთა მოთხრობით ჩვენ თვალთ-ცრემლ მოგვედინოსა...
„და... მხნეობით აღტაცებულნი ჰაბუკნი ხმალსა მისწვდნენა!... [9])

ერეკლე ბატონიშვილმა ინდოეთის სატახტო ქ. შაჰჯანაბადშივე (დელი) უბოძა ასლან ავალიშვილს შემდეგი წყალობის წიგნი № 6. „ნებითა: და შეწევნითა ღვთისათა! ესე წყალობის წიგნი: გიბოძეთ: ჩვენ: ბატონიშვილმა: ერეკლე: შენ: ჩვენს: ერთგულს: და: თავდადებით: ნამსახურსა ავალიშვილს: ასლანს მილახვარს: ასე: რომ ყანდაარს: რომ: შაჰნადირ: ყეენმა: გვიბძანა: მაშინ შენც: თან: მახლდი, პევრს: გვემსახურე: და: კიდემ: ინდისტანს: ჩამოგვყევ: და: იქაც: ბევრს გვემსახურე: ახლა: ამ: სამსახურის: სანუფქოთ: გიბოძეთ: ჩვენი: სახასო: ჩუმლაყი: უწინაც: პაპის: ჩემისა: ბიძის: ჩემების: წიგნები: გქონებოდა: როგორც: იმაში: ეწეროს: ისრე: ჩვენც: გვიბოძებია: და: დაგვიმტკიცებია: გიბოძეთ: და: წყალობა: გიყავით: დავითს: ნაზირს: და: შენს: ბიძაშვილს: ასლანს: მილახვარს და შვილსა შენსა გიორგის და მომავალთა: სახლისა: შენისათა: მოგცეს: და: გიბედნიეროს: ღმერთმა: ჩვენს: ერთგულობასა: და: სამსახურსა: შინა: არა: ჩვენგან: და: არცა: შემდგომთა: ჩვენთაგან: არ მოგეშალოს: დაიწერა: წიგნი: ესე: ინდისტანს: ხელითა. პართენისათა: ოკდონბერს: ბ: ქალაქსა შაჰჯანაბადისასა: ქორონიკონს უკვ:“ (1738 წ.) ბატონიშვილი ერეკლე ამ წერილს შემდეგ 1784 წ. მაისის 22—23 ხელ-ახლა ამტკიცებს მეფე ერეკლე, დედოფალი დარეჯან, ბატონიშვილები—გიორგი, იულონ და ალექსანდრე შაჰნადირ ყანდაარში მოვიდა ასე სახელოვანად გამარჯვებული და დიდათ მადლიერმა ქართველთა თავ-დაუზოგავად სამსახურითა მოიყვანა ერეკლე ბატონიშვილი და ასე უთხრა: „მეფის ძევ, ერეკლე! შენ შენს ქვეყანას ეჭირვები და ნება მომიცია შენს ქვეყანაში წასლვისა და მარადის ჩვენის წყალობის მოიმედე იყავიო.“ ერეკლემ მადლობა მოახსენა და წამოვიდა თავისის მხლებლებით ყანდაარიდგან 28 მაისს 1739 წ. და 13 სეკდემბერს ალავერდში მოვიდა თავის დედ-მამასთან.

მღ. პ. კარბელაშვილი.

საჯაოხელის შენიშვნა.

(რკინის გზის ვაგონში მონასმენი)

მატარებელს გაჩერება არ აცალეს მგზავრებმა რკინის გზის სადგურზე, ისე მისცვივდნენ ვაგონებს. შეიქნა ჩვეულებრივი ჯგლოთი და „გზა მომეცი!“ „მაცა!“ „მოითმინეს“ ძახილი. როგორც ყოველთვის, ეხლაც მგზავრები ბევრი იყო და ვაგონები ცოტა. ის იყო გავივლე გულში: „ჩვენში რკინის გზა თითქოს ამისთვის არის, რომ თვალ-საჩინოდ დაანახვოს ყველას უსაფუძვლობა ეკონომიურის ძირითადის კანონისა მოთხოვნილებისა ბ მიწოდებისა. მაგრამ აზრის დასრულება არ მაცალა ჩემის თანამგზავრის პოლიკოს ძახილმა:

— აქ მო, კაცო, შენთვის ადგილი მაქვს შენახული, გაზეთიც ვიყიდე ახალი!

მეც გავეშურე. ვაგონი სწორედ ისე იყო გაჭედილი, რომ ძალიან გამოქნილი ბანძელიც ვერ გაატანდა სკამებს შუა და კარიდ-

---

*) გონებითი განვითარება ევროპის ერისა ვ. დრეპერისა, რუსულს ენაზედ დასტამბული.

[7]) იხ. Походы Над.-Шаха въ Индію, 210 გვ.

[8]) იხ. „სადღეგრძელო“ გ. ორბელიანისა.

[9]) „ქართველები მთელ აზიაში საუკეთესო მეომრებად ითვლებოდნენ; და სპარსთა ჯარში თითით საჩვენებელ რაზმს შეადგენდნენ;ყოველ მინდობილებას წმინდათ ასრულებდნენ და თავის დღეში გაჭირვებაში უკან არ გამობრუნდებოდნენ.ამასთან ჩინებულნი მსროლელნი იყვნენ მშვილდ-ისრისა და თოფისა- იგინი მედიდურნი, წამოსადეგნი, ტანადნი, ჯანმრთელნი და სასიამოვნო სანახაობისანი არიან და დიდ ხანს იცოცხლებდნენ, რომ ბევრს ღვინოს ჭარბ სვამდნენ, რის გამო მალე სუსტდებიან. ქალები მთელს აზიაში განთქმულნი არიან თავის სილამაზით“... იხ. 177 გვ. Персид. Александръ... или Надиръ. აი როგორი აზრისანი იყვნენ უცხოელნი ქართველთა შესახებ ჯერ ისევ 1790 წ. ეხლა?.

ადარ გამართმევდეს რუისპირის მცხოვრებთ, მოუსავლობით დაზარალებულთ და მით მისცემდეს საშუალებას, რომ ყველამ შეუწუხებლივ აძლიოს საბალახე, როგორც წინა წლებში უძლევიათ. თუ წელსაც იგივე ფასი გამართევს საბალახეში, გლეხები იძულებულნი იქნებიან სხვისა მთებში გამოკვებონ საქონელი და ამით-კი მონასტერს საძოვრის შემოსავალი შეუცოტავდება.

რუისპირის მცხოვრებნი, აგერ თხუთმეტი წელიწადი იქნება, ვერ შეთანხმებულან დაუდევრობის გამო ერთ საზოგადო საქმის შესახებ. საზოგადოდ ძალიან ძვირად გამოვა სოფელში ისეთი კაცი, რომ საზოგადო სოფლის საქმეს ყური მიუგდოს და როგორც-კი შეუძლიან და ძალი შესწევს, გასაკეთებელი გააკეთოს. ასე ყურ-მისაგდები და მისახედი საქმე სოფ. რუისპირს ბევრი აქვს, მაგრამ გამკეთებელი არავინა ჩანს. რუისპირელებს სახელმწიფოთ ამოწყვეტილი გლეხებისაგან დარჩომილი აქვთ სოფლის სასარგებლოდ ადგილ-მამულები, ზომით რვა-ცხრა დესეტინამდის. იმ გლეხების ამოწყვეტიდგან ამ ხნობამდის სოფლის სასარგებლოდ იმ მამულების მოსავალიდგან ჯერ კაპიკით არ უსარგებლიათ. ამის მიზეზია სოფლისავე დაუდევრობა, გლეხები არ აძლევენ ერთმანეთს პირს, რომ ის ადგილები გადასცენ ვისმე იჯარით, ან კიდევ უმამულო გლეხს შეასყიდონ. ამ უყურადღებობის გამო ადგილ-მამულებს ზოგი ისეთი კაცი ჰხმარობს, რომ სოფელს არც ხარჯის გადახდაში აძლევს შემწეობას და არც კიდევ სხვა საქმეში უწევს დახმარებას. ასე უსარგებლონი სოფელში ბევრია, მაგრამ ვინ რას იზამს მათ საწინააღმდეგოს?! კარგი იქნება რუისპირის მცხოვრებთ ჩააგონებდეს ვინმე, რომ პირი მისცენ ერთმანეთს და გადასცენ ვისმე იჯარით ხსენებული ადგილები, რაშიაც ოთხ-ხუთ თუმანს აიღებენ ყოველ წლივ. ოთხ-ხუთი თუმანი დიდი შეღავათი იქნება სოფლისთვის წვრილ-წვრილ ხარჯების გადასახდელად.

კოტე სეხნიაშვილი.

—

დ. ხიდისთავი, (გურია). 23 თებერვალს სამკითხველოს დროებით შენობაში მოხდა სამკითხველოს წევრთა არა ჩვეულებრივი კრება. კრებას მოჰხსენდა წინად გარეშე პირთაგან არჩეულ კომისიის მოხსენება. (კომისიაში იყვნენ: ს. გეგელაშვილი, სიმ. გრიაზნოვი და თ. კიკვაძე). კომისიის არჩევა გამოიწვია იმ უთანხმოებამ, რომელიც ჩამოვარდა ხიდისთაველებს შორის. უნდოდათ აეგოთ შესაფერი შენობა სამკითხველოსი და თეატრისა, მაგრამ, როგორც სხვაგან, აქაც იჩინა თავი „ზედაურ-ქვედაურობამ“. ამ უთანხმოების მოსასპობლად არჩეულ იქმნა ორისავე დასის შეთანხმებით კომისია. კომისიამ დაათვალიერა ორივე ადგილი, მოისმინა მოპირდაპირეთა აზრი და დაასკვნა, რომ სამკითხველოს აგება აჯობებს ქვევით, ხიდის ყურთან, რადგან აქ მეტი მუშტარი ეყოლებათ. ამ გარდაწყვეტილებით არ დარჩა კმაყოფილი ზოგიერთი, პირადის ინტერესებით გატაცებული ვაჟბატონი, და მათ შორის ორი ძმა, ვაჭრები ჯ. ად. კალანდაძენი. ეს ვაჟბატონები კრებაზე იმდენად გაკადნიერდნენ, რომ თავმჯდომარეს მისწვდნენ საცემრად. უმცროსმა დელიყადმა ლამპაც-კი ჩამოაგდო ძირს. საცა ჩვენ გვინდა, იქ უნდა აშენდესო, გაიძახოდნენ „ჩვენებური, კიტიკიტიჩები“. კიდევ კარგი, რომ უმარცხოდ გადარჩით და მადლიანმა კაცმა ეს მყვირალა მაშლაყინწები მოგვაშორა...

კრების დაწყნარების შემდეგ არჩეულ იქმნა კომისია, რომელსაც მიენდო ნოტარიუსის წესით შეეკრას პირობით მოწონებულ ადგილის მეპატრონეთ და, უკეთუ იქ მოსახერხებელი არ დარჩა ადგილის იჯარით აღება, ამ ახალმა კომისიამ იქ უნდა შეისყიდოს კანონიერად შესაფერი ადგილი, სადაც მოსახერხებლად დაინახავს. კომისიაში მოჰყვნენ: მოსე ნინიძე (მასწავლებელი), ლეონ გოგობერიძე (მასწ.), გერონტი კალანდაძე (ადგილობრივი ინტელიგენტი), ანტონ რამიშვილი (სამკითხველოს გამგე-ფერშალი) და მიხ. სიხარულიძე (მოხელე). ამათ კრების გარდაწყვეტილება, რაც შეიძლება, მალე სისრულეში უნდა მოიყვანონ.

იმედია კომისია სასურველად დააბოლოვებს ნაკისრ საქმეს და ხიდისთაველებიც გონივრულად მოიქცევიან და შენ-ჩემობას არ ანაცვალებენ საზოგადო საქმეს.

რუსეთი

გაზეთს „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია ფინანსთა სამინისტროს მიერ შემდეგი გამოცხადება: „16 წარსულს იანვარს ფინანსთა მინისტრმა თანახმად მინისტრების რჩევის 10-ს იანვრის დადგენილებისა, წინადადება მისცა იმპერატორ ალექსანდრე II-ის კიევის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის საბჭოს, გამოუცხადეთ სტუდენტებს, რომ თუ არეულობათა თავიდგან ასაცილებლად და მოსასპობლად საჭირო იქმნა ინსტიტუტის დროებით დაკეტვა, იმ შემთხვევაში დაკარგული დრო შევსებული იქნება მახლობელ საზაფხულო სავაკაციო დროთი. თუ-კი მეცადინეობა შეჩერებულ იქმნა საერთოდ სამს კვირამდის, მაშინ ეგზამენები სრულებით არ მოხდება და მეორე და უფროს კურსების სტუდენტები დატოვებულ იქნებიან იმავე კურსებზე შემდეგ წელსაც, პირველ კურსის სტუდენტები-კი სრულიად დათხოვნილ იქნებიან და მიიღებიან მომავალს წელს, როგორც ახალი სტუდენტები. შემდეგ ამისა ფინანსთა მინისტრი ყოველსავე ღონეს ხმარობდა, რათა აეცილებინა სტუდენტებისათვის ინსტიტუტის დაკეტვის მავნებელი შედეგი და 26 იანვარს დეპეშით მისწერა ინსტიტუტის დირექტორს, გამოაცხადებინა სტუდენტებისათვის, რომ მინისტრს სულითა და გულით ჰსურს მათთვის სიკეთე და მისთვის და პროფესორებისათვის მეტად სამწუხარო და საწყენი იქნება, თუ სტუდენტები მონაწილეობას მიიღებენ არეულობაში. ამასთანავე მინისტრმა სრული ნდობა გამოუცხადა დირექტორს და პროფესორებს და სთხოვა ინსტიტუტის მთავრობას, გავლენა იქონიეთ სტუდენტებზე და აცნობეთ, რომ თუ არეულობა მოახდინეს, მინისტრი იძულებული იქნება მიჰმართოს ზემოხსენებულ ღონისძიებასაო.. იმის გაგების შემდეგ, რომ ინსტიტუტში მეცადინეობა სამის კვირის შეჩერების შემდეგ არ განახლებულა, 12 თებერვალს ერთხელ კიდევ დეპეშით სთხოვდა ინსტიტუტის დირექტორს, დაარწმუნე სტუდენტები, შეუდგნენ მეცადინეობასაო და მოაგონე, რომ ინსტიტუტი დაარსებიდგანვე კარგს გარემოებაში იყო და სტუდენტებს მიზეზი არა აქვთ უკმაყოფილონი იყვნენ ან ინსტიტუტის შინაურ ცხოვრებით, ან პროფესორებით და მინისტრით. პროფესორებმა ვერავითარი გავლენა ვერ იქონიეს სტუდენტებზე და ინსტიტუტი უნდა დაკეტილიყო, მაგრამ პროფესორების შუამდგომლობით, რომ სტუდენტები გონს მოვლენო, დაკეტვის ვადა გადაიდო 5 მარტისათვის. დღევანდელ ცნობებიდგან სჩანს, რომ კიევის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში 5 მარტს მეცადინეობა არ დაწყებულა; ამიტომ ფინანსთა მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ ინსტიტუტი დაკეტილ იქმნას სეკტემბრამდე, მეორე და უფროს კურსების სტუდენტები დატოვებულ იქმნან იმავე კურსებზე, პირველ კურსის სტუდენტები-კი გამორიცხულ იქმნან და მომავალს წელს ინსტიტუტის მთავრობამ მისაღებ ეგზამენების დაჭერის ნება მისცეს მათ შორის მხოლოდ იმათ, რომელნიც სანდოდ იცნოს.

ამ შემთხვევაში მინისტრი იმ მოსაზრებით ჰხელმძღვანელობდა, რომ უმაღლესის სკოლის დანიშნულებაა სამეცნიერო მეცადინეობა; ამისთანა სასწავლებელმა უნდა გადასცეს მოსწავლეებს სამეცნიერო ცოდნა და მისცეს საშუალება ამ ცოდნის შეთვისებისა. ეს დანიშნულება შეუძლებელია შესრულდეს წელს სწავლის შეწყვეტისა და მოსწავლე ახალგაზდობის მღელვარების გამო, ამიტომ მინისტრი მოუხერხებელად სთვლის ინსტიტუტი გაათავებინოს ისეთებს, რომელნიც თავისის ცოდნით ღირსნი არ იქნებიან ინჟენერის სახელისა. მინისტრი დიდად სწუხს, რომ უფროსების დარიგებამ, რომელთაც უნდოდათ მოსწავლეთათვის მხოლოდ სიკეთე და სარგებლობა, ვერაფერს გახდა და იმედი აქვს, რომ ინსტიტუტის დაკეტვა, რომელიც გამოიწვიეს თვითონ სტუდენტებმა, გააფრთხილებს მომავლისათვის და აიცილებს თავიდან ასეთს ყოფა-ქცევას.

— საზღვარ გარედ წასვლისათვის პასპორტზე ფასის მომატების შესახებ ხმები, როგორც ამბობენ, უსაფუძვლოა.

— ლ. ტოლსტოის მდგომარეობა თან-დათან უმჯობესდება. ღონე და ძალა ავადმყოფს კარგი აქვს და კარგადაც სძინავს.

უცხოეთი

ინგლისი. ინგლისურ გაზეთებში დაიბეჭდა როზბერის მეთაურობით ახლად შემდგარ „სალიბერალო ლიგის“ ვიცე-პრეზიდენტის ასკიტის წერილი ამ ლიგის პროგრამისა და მომავალ მოქმედების შესახებ. „როზბერიმ,—სწერს ასკიტი,—დიდი სამსახური გაუწია მთელ ინგლისს ჩესტერფილდში წარმოთქმულ სიტყვით. მან გაგვაცნო თავისი აზრი და შეხედულება სამხრეთ-აფრიკის ომზედ. ამ შეხედულებისაა მთელი სალიბერალო დასი. სალიბერალო დასი არ უნდა დასჯერდეს მარტო კრიტიკას; მას საკუთარი ადმინისტრაცია და საშინაო პოლიტიკა უნდა ჰქონდეს. დასმა თვალი უნდა გადაავლოს თავისს პროგრამას, მოიშოროს ყოველივე ის, რაც მიუწდომელი და შეუსრულებელია და მთელი თავისი ყურადღება მოანდომოს უმთავრესს საქმეს, რომელიც დაყოვნებას არა თხოულობს. ირლანდიის ჰომრულს ადგილი არ უნდა ჰქონდეს სალიბერალო დასის პროგრამაში, რადგანაც მთელი ინგლისი წინააღმდეგია ამ რეფორმისა. ჰომრული მაშინ შეიძლება განხორციელდეს, როდესაც ინგლისის ამომრჩეველთა უმრავლესობა იმის მხარეს იქმნება... დასმა უპირველეს ყოვლისა უნდა აიშოროს იმპერიის შინაური უწესოებანი, რაიცა განსაცდელს უქადის მას. დღევანდელ მთავრობასა და პარლამენტს არ ძალ-უძს არც დღევანდელ საადმინისტრაციო მანქანის გადაკეთება და არც სოციალურ რეფორმათა განხორციელება. უვარგისი სასკოლო სისტემა, ლოთობა, მუშათა კლასის სადგომების უვარგისობა, გადასახადების უსამართლოდ განაწილება,—აი, ის უკუღმართობანი, რისაგანაც ინგლისის იმპერიას განსაცდელი მოელის. ახლად შემდგარი ლიგა ეცდება ხელი შეუწყოს სალიბერალო დასის შინაურ საქმეების მოწყობასა და ჩამოთვლილ უკუღმართობის თავიდგან აცილებაში.“

— ირლანდიაში ერთი აღტაცება და სიხარულია ბურების უკანასკნელ გამარჯვებისა და ინგლისელების დამარცხების გამო. ერთი ინგლისური გაზეთი სწერს: თუ ირლანდიაში ჯერ კიდევ აჯანყება არ არის, ეჭვი არ არის, მალე მოხდება იგიო. მოძრაობას სათავეში ირლანდიელი დეპუტატები უდგანან. ინგლისის მთავრობას სასტიკი ზომებით ვერაფერი გაუწყვია. პირ-იქით ასეთ ზომებს ირლანდიელნი მოღვაწენი სიხარულით ეგებებიან; სისასტიკე ხელს უწყობს მოძრაობის გაძლიერებასაო.

— ლონდონში დიდი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმაა მოხუცის ფელდმარშლის უოლსლეის სამხრეთ-აფრიკაში გამგზავრების გამო. თუმცა ოფიციალურად გამოცხადებული იყო, რომ უოლსლეი კერძო საქმეების გამო მიდისო, მაგრამ ნამდვილად, როგორც გამოირკვა, მას თურმე მეფე ედუარდი ჰგზავნის, კიტჩენერი სამხრეთ აფრიკიდგან ნამდვილ ცნობებს თვით მთავრობასაც არ ატყობინებს. მეფეს უნდა გაიგოს ნამდვილი ვითარება საქმისა და უოლსლეის სწორედ აი, ამისთვისა ჰგზავნის.

სამხრეთ-აფრიკის ომი. ინგლისელებს დღემდე უკვირთ, სად და როგორ შოულობენ ბურები ზარბაზნებსაო და ის-კი ავიწყდებათ, რომ ზარბაზნებს, თოფებს და ტყვია-წამალს ბურები ინგლისის ჯარს ართმევენ. უკანასკნელის ერთის წლის განმავლობაში ბურებს წაურთმევიათ ინგლისელებისათვის 24 ზარბაზანი. ამათ შორის ის ათი ზარბაზანია, რომელიც დელარეიმ კლერკსდორპთანა და ტვიბოშთან მომხდარ ბრძოლაში ჩაიგდო ხელში. უბედურება კვალი-კვალ სდევნის ინგლისელებს. რამდენჯერმე მოინდომა კიტჩენერმა დევეტის დატყვევება, მაგრამ ვერც ერთხელ თავისი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. აი, ეხლაც მთელი ორი კვირა ჯარს არტყავდა დევეტსა და შტეინს, მაგრამ ეს მამაცი მეომარნი ისე გაუსხლტნენ ხელიდგან, რომ ვერც-კი გაიგო.

— ამას წინად გერმანიის რეიხსტაგში რიხტგოფენმა წინადადება შეიტანა გერმანიამ გააკეთოს რამ ბურების სასარგებლოდაო. ამ წინადადების გამო კრიუგერის მახლობელთ უთქვამთ, რომ ბურთა გენერლები არავითარ დახმარებას არა საჭიროებენ; არც მათ და არც კრიუგერს არა ჰსურთ სამხრეთ-აფრიკის საქმეებში ვინმე ჩაერიოსო. ზავის ჩამოგდებას არასოდეს არ დავთანხმდებით, თუ სრულს დამოუკიდებლობას არ დაგვპირდებიანო,— უთქვამს თურმე კრიუგერს.

ავღანისტანი. „თერჯიმან ხაკიკატის“ სიტყვით, ავღანისტანში საქმის ვითარება ძალიან გამწვავდა, რადგანაც ,,ინდოეთის მთავრობა დიდად უკმაყოფილოა ემირის ხაბიბულას მოქმედებითაო‘‘. კორესპონდენტის სიტყვით, ემირი ვილაცას შთაგონებით ინგლისს ცუდის თვალით უყურებს და არ ასრულებს იმ ვალდებულებებს, რომელნიც ემირმა ტახტზედ ასვლის დროს იკისრა. ინდოეთის ვიცე-კოროლმა, ლორდმა კერზონმა, აცნობა ხაბიბულას, რომ ვერ მოვითმენთ პირობის დარღვევას და სასტიკ ღონისძიებას მივმართავთო.

ოსმალეთი. როგორც ვუწყით, ამას წინად კონსტანტინეპოლში პოლიციამ მოულოდნელად შეიპყრო ოსმალეთში დიდად ცნობილი მარშალი გენერალი ფაუდ-ფაშა (ჩერქეზია) და სადღაც გაგზავნა. სამხედრო სასამართლომ უკვე განიხილა ფაუდ-ფაშას საქმე და გადაუწყვიტა ღირსების ჩამორთმევა და ხუთის წლით საპყრობილეში დაპატიმრება. ბრალად იმასა სდებენ, რომ მარშალი კონსტანტინეპოლსა და იმპერიის სხვა ადგილებში სარევოლუციო მოძრაობას ამზადებდაო.

სასოფლო მეურნეობა.

თორმეტი მცნება აბრეშუმის ჭიის მომვლელთათვის.

I

იმას შეუძლიან აბრეშუმის ჭიის თესლის ყიდვა ადრე, ვისაც რიგიანი ბინა აქვს თესლისათვის;

II

ის ბინა არის კარგი, სადაც ერთის ზომის სითბოა, ჰაერი წმინდაა და სინესტე არ არის;

III

წონით იმდენი მისხალი აბრეშუმის თესლი შეგიძლიანთ იყიდოთ, რამდენის ჭიის მოვლაც შეგიძლიანთ;

IV

ერთ მისხალ თესლიდან გამოსულ ჭიას უნდა ჰქონდეს მიჩენილი თავიდან ბოლომდე: ათი ფუთი კარგი ფურცელი და ათის ოთხ-კუთხ არშინის სივრცე ადგილი;

V

თესლებიდგან მურის (ჭიის) გამოყვანა არ ვარგა მზეში, ცეცხლთან, იღლიაში, ბალიშების შემწეობით; ან სანახევროდ მური არ გამოვა, ან-და, თუ გამოვიდა, ბოლოს ბევრი წახდება;

VI

როცა მყოლის ხეზე კვირტები დასხვილდება, ფოთოლი შლას დააპირებს, აბრეშუმის თესლი წმინდა ქაღალდზედ დაჰყარეთ თხლად და თბილ ადგილას იქონიეთ;

VII

სითბო სულ ერთის ზომისა უნდა იყოს, ან ცოტ-ცოტა უმატეთ და ნუ მოუკლებთ-კი;

VIII

თუ რომ აცივდა, ფოთოლი არ იშლება ხეზე, მურის გამოყვანა შეგიძლიანთ შეაჩეროთ მით, რომ სადგომის სითბოს დაუკლებთ;

IX

ერთის დღის გამოსულს მურს მეორე დღის გამოსულს ნუ შეურევთ;

X

პირველ კანის გამოცვლამდე აჭამეთ ჭიებს წმინდათ, ე. ი. წვრილად დაჭრილი ფოთოლი, პირველ კანის გამოცვლის შემდეგ მეორემდე უფრო მსხვილათ დაჭრილი, შემდეგ უფრო მსხვილი და ბოლოს მთელიც. ფოთოლი პირველად უნდა იქმნას ნორჩი. თავიდან ბოლომდე ფოთოლი უნდა იქმნას ახალი, წმინდა, ნესტიანი არ უნდა იყოს, ნაყოფი არ უნდა ერიოს. ჭია არას ოდეს არ უნდა მოაშიოთ: აჭამეთ ხშირად და ცოტ-ცოტა;

XI

ნაჭამი, ნაგავი ყოველ დღე უნდა ასუფთავოთ, ე. ი. გადაჰყაროთ;

XII

გან მეორე კარამდე. შუა ვაგონში ორი ცალკ-ცალკე დასაჯდომები დაეკავებინა პალიკოს და სწორედ გითხრათ, არც ანტონ კათალიკოსის გრამატიკისა ც ლიპერტის „კულტურის ისტორიის“ კითხვის დროს დამსხმია იმდენი ოფლი, რამდენიც ამ ჟამად ჩემს სკამამდის მისვლამდე. დავჯექი, სული მოვითქვი. მიმოვიხედე. სარკმლები ყველა დაელოთ და მძიმე სუნი არ იდგა. სასიამოვნოდ დამრჩა, რომ სრულიად შემთხვევით, რასაკვირველია, ყველანი ერთის თემისანი შევყრილიყავით. ყველა გაჩუმებული იყო, აქა-იქ ისმოდა მხოლოდ ჩუმად ჩახველების ხმა. პალიკო გაზეთის კითხვას შეუდგა. უცებ ხმა-მაღლა გვითხრა, ერთს სახალისო ამბავს წაგიკითხავთ, თუ ყურს დაუგდებთო.

— დიდი სიამოვნებით! კი, ბატონო! წაიკითხეთ! ძალიან მადლობელი ვიქნებით!— ყოველ მხრიდან გასროლილ თოფებივით მოისმა თუ ქალის თუ ჭაბუკის და თუ მოხუცის ხმები. პალიკომაც დაიწყო:

როგორ მდიდრდებიან ამერიკაში.

1857 წელს, როდესაც კალიფორნიაში აღმოჩნდა ოქროს მადნები, ბევრმა მიატოვა თავისი სახლ-კარი და გასწია მადნებისაკენ ბედის საძიებლად. მათ შორის იყო კლარკი, ახლანდელი მილიანდერი. სანამ კალიფორნიას მიაწევდა, კლარკი გზაზე ავად გახდა. რაც შეძლება ჰქონდა, წამლობას მოანდომა. გამომრთელების შემდეგ მასწავლებლობას მიჰყო ხელი. 1861 წელს მასწავლებლობა მიატოვა და კოლორადოს მთებს შეაფარა თავი. ის იქ ხან მიწის მუშაობას ჰკიდებდა ხელს, ხან მადნებში მუშაობას და ხან ვაჭრობდა კიდეც. ბოლოს, როგორც იყო, შეაგროვა 5000 დოლარი, იყიდა სხვა-და-სხვა სანოვაგე, ტანთსაცმელი, ხელსაწყოები და წაიღო მონტანნის შტატის ოქროს მადნიან ადგილებში. იმ მადნებიდან ამოიღეს 600 მილიონის ოქრო და კლარკი სწორედ იმ დროს ჰყიდდა იქ თავისს საქონელს და ძალიან მალეც გამდიდრდა. გირვანქა კარტოფილს, მაგალითად, ის ჰყიდდა მანეთად და ორ მანეთადაც. გირვანქა თამბაქოს თუმნად, ფქვილს ორ და ათ შაურად და თითო კვერცხს ორ-ორ მანეთად. მთელი საქონელი ამ ფასად გაასაღა.

პირველის მაგალითით წაქეზებულმა კლარკმა განაგრძო ვაჭრობა და გაალო მაღაზიები სხვა-და-სხვა შტატებში. ამით მის სიმდიდრეს ბევრი მოემატა. ერთგან კლარკმა იყიდა ერთი ნაჭერი მიწა, რომელშიაც ოქროს ან ვერცხლის მადანი ეგულებოდა, მაგრამ არც ერთი არ აღმოჩნდა, სამაგიეროდ შიგ იპოვნეს თითბრის მადანი. ამ მადანმა შესძინა კლარკს 35 მილიონი, გარდა იმისა, რომ დღეს კიდევ ჰლირს 50 მილიონი. სხვა შტატებშიაც აქვს კლარკს თითბრის მადნები, რომელიც კიდევ უფრო ძვირად ღირს. აქვს საბანკირო სახლი, რომელიც დიდს შემოსავალს აძლევს. ამ ჟამად კლარკი სცხოვრობს ნიუ-ორკში, სადაც იშენებს ჩინებულ სასახლეს. მარტო ავეჯეულობისა და სახლის მოწყობილობისათვის გადასდვა ერთი მილიონი. მთელი სასახლე-კი ჯდება 10 მილიონი.‘‘

პალიკომ კითხვა გაათავა.

— ,,იმე!.. დაილოცა ჭკუა!.. აი, რას ნიშნავს მიხედვრილობა! ასე იცის საქმეში კაცის გაბედვამ!‘‘—მოისმა მსმენელთა შენიშვნები.

— მე ჩემი ბრიყვი გონებით ერთს ვიტყვი, თუ მოიხსენიებთ...

ყველამ მივიხედეთ მთქმელისაკენ. ის იყო ჩოხოსანი მოხუცი, ძველებურის თვალ-ტანადობისა, მაღალი, მხარ-ბეჭ განიერი, წელში წვრილი და ოდნავ მოხრილი, თოვლივით თეთრს, გაჩეჩილს თმაზე პაწაწა ფაფანაკი თავს ძლივს უფარავდა, სქელსა და გრძელს ულვაშს უფრო უსქელებდა წვერ-მოპარსულობა. ლაპარაკის დროს ტუჩებს შუა გამოჰკრთოდა სადაფივით კრიალა, თეთრი კბილები.

— გენებოთ დაიჯერეთ გენებოთ, ნუ დაიჯერებთ, მაგრამ მე მაინც ვიტყვი: ის ბედნიერი კლარკი რომ ჩვენში ყოფილიყო და ისე წასულიყო სავაჭროთ, ერთი ათი მაინც მისი მახლობელ შორებელთაგანი წამხედურობით სწორედ ისეთსავე სანოვაგეს, ისეთსავე ტანთსაცმელს, ისეთსავე ხელსაწყოებს, ისეთსავე კარტოფილს, ისეთსავე თამბაქოს და სწორედ იმავ ქათმების დადებულ კვერცხებს წაიღებდნენ და შეუდგებოდნენ იმის გზა-კვალს. სადაც ის დაიწყებდა ვაჭრობას, ესენიც იქ, სწორედ იქ, შეეცილებოდნენ და, ის რომ ორ მანეთ ნახევრათ ჰყიდდა ერთს კვერცხს, ესენი სამ აბაზად გახდიდნენ ასს! როგორ ფიქრობთ თქვენ: მოაგებიებდნენ? რას მიბრძანებთ! თქვენ ნუ მოუკვდეთ ჩემს თავს, ამდენს პატიოსანს კაცს ტყუილად არ დაგიფიცებთ, ის რომ ჩვენში ყოფილიყო, ტყავი გაძვრებოდა, როგორც მრავალს სხვას ჩვენებურებს, რომელთაგან ბევრს იმ თქვენს კლარკზე ნაკლები არც აღებმიცემის სიმხნე ჰქონებია და არც ჭკუა და გამჭრიახობა, მაგრამ მათი ბოლო მაინც სიმწრით ლუკმის ჭამა ყოფილა. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ჩვენში ამერიკა არ არის, აქ ერთს თაოსანს ასი ხელის შემშლელი კანჭებში შეჰყურებს და ასი კიდევ სხვა, მიღმა უმზადებს სამარეს... ერთი მომიხერხეთ თქვენ: ახლა რომ იმდონი გამოცდილება აქვს იმ კაცს, ახლა მომიყვანეთ ის ჩვენში, ოღონდ მილიონები იქ დატოვოს, თვარა თავისი შეძლებით მოიგებს, რა თქმა უნდა: ჩვენს ქვეყანას იყიდის, როგორც ბორჩალოს ჰყიდულობენ ახლა ლიპიანიძენი და ყველას აგვიდგამს ფეხს... და... სული, ცოდვილო... ჩვენს ქვეყანას რა აჯობებდა ჩვენისთანა ხალხი რომ არ ესხას ზედ?! არა თავდაპირველად რომ სერმია ჰქონებია იმ ვაჟბატონს, იმით ჩამომიყვანეთ აქ და დააწყებინეთ რამე საქმე, თუ სული კბილით არ გაიტანოს... რას ბრძანებთ, შეძენით შეიძენდა რასმეს ის ამ ქვეყანაში? ა, თქვენ არ მოუკვდეთ ჩემს თავს! ჩვენში ტყავი გაძვრებოდა, ტყავი!

ამ დროს მატარებელიც შეჩერდა სადგურთან და მგზავრებიც აიშალნენ ვაგონიდან გასასვლელად.

— ნურას უკაცრავათ, ჩემო ბატონო, ეგებ რომელსამე თქვენგანს საწყენათ დაგირჩათ ჩემი ნაუბარი,—შემინდვეთ, ბატონებო! რა ვქნა, მოხუცებული კაცი ვარ და მერე კიდევ საჯავახოელი,—არ შემიძლია ენა გავაჩერო, როცა გული სასაუბროთ მერჩის და...

— ოოჰ, საჯავახური ხუმრობა ნახევარი მართალიაო! ანდაზათ არის ნათქვამიო, გააწყვეტინა ვიღამაც სიტყვა...

თ. მაგმაძე.

ჰიები, რაც შეიძლება, თხლად იყოლიეთ; ცოცხი უნდა დაუდგათ თავისს დროზე და უსათუოდ ძალიან ხმელი.

ნ. მკურნალი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ჩვენ განვიზრახეთ შევკრიბოთ ძველი საისტორიო ხელთ-ნაწერები ქ. ახალციხის შესახებ მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნოებისა. ამიტომ უმორჩილესად ვთხოვთ ძველად ახალციხიდამ გადასახლებულთა, გამოგვიგზავნონ ძველი ხელთ-ნაწერები, რომლებშიაც იქნება ცნობანი: ახალციხის შესახები მოთხრობანი, მოგზაურთა წერილები, ლექსები და სხვანი, აგრეთვე კარაბადინების და ლოცვის წიგნების ავტორების სახელები და გვარები 1828 წლამდის, ე. ი. ვიდრე რუსი აიღებდა ამ ქალაქს, ახალციხეში ითვლებოდა 12 ათასი კომლი; იმ დროს არც ერთი ქალაქი კავკასიისა არ შეედრებოდა სიდიდით ახალციხეს. თვით ჩვენი დედა ქალაქი სრულიად საქართველოისა ტფილისი იმ დროს არ იყო ამოდენა. 1828 წელს დიდ-ძალი ქართველ-მაჰმადიანნი გადასახლდნენ ოსმალეთში, ზოგნი კიდევ ფოცხოვს და აჭარა-ქობულეთს. 1830—1840 წლებიდგან აგრეთვე გადასახლება დაიწყეს ქართველმა ქრისტიანებმა საქართველოს სხვა-და-სხვა ქალაქებში, ზოგნიც საზღვარ-გარედ გადასახლდნენ. როგორცა სჩანს, ახალციხიდგან გადასახლებულან შემდეგს ქალაქებში: მოზდოკს, ტფილისს, გორს, ქუთაისს, ოზურგეთს, ბათუმს, ფოთს, ართვინს, ყარსს, ოლთისს, საზღვარ-გარეთ ტრაპიზონს და სტამბოლს. ვთხოვთ აგრეთვე ქართველ-მაჰმადიანთა ეფენდებს, მოგვაწოდონ ახალციხის შესახებ ცნობანი. ჩვენ თვითონ გადავთარგმნით ოსმალურ ენიდგან ქართულად. საისტორიო მასალად გამოსადეგი ხელთ-ნაწერები დაიბეჭდება ქართულ ჟურნალ-გაზეთებში; აგრეთვე ბიოგრაფიები ახალციხელ მოღვაწეთა მე-XVIII და XIX საუკუნოებისა. ძველი ხელთ-ნაწერები ვთხოვთ გამოგვიგზავნონ ქ. ახალციხეში ამ ადრესით: **Въ гор. Ахалцихъ. Учителю Ивану Іосифову Барикалову.** გამოგზავნილი წერილები ისევ დაუბრუნდება პატრონთ, ანუ მათის სურვილისამებრ გადაეცემა წერა-კითხვის საზოგადოებას.

ი. ბარკალა—ი.

„ივერიის“ ფოსტა:

ლა—თი, ზრ. ურ-ძეს. მაგ საგანზედ საკმაოდ დაიწერა და თქვენი წერილი ახალს გარემოებას არას გვაცნობებს.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

11 მარტი.

სევასტოპოლი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ უყურადღებოდ დასტოვა ხელოსანთა საზოგადოების თხოვნა იმის შესახებ, რომ არ გაუქმებულიყო სახელოსნო გამგეობა.

ტამბოვი. დაარსდა ამხანაგობა უფასო სახალხო წარმოდგენების გასამართავად.

ხარკოვი. იურიდიულ საზოგადოების წლიურს კრებაზე არჩეულ იქმნენ საპატიო წევრებად მ. კავალევსკი და მ. ჩიჩერინი და თავმჯდომარედ პროფესორი გრედესკული.

ვარშავა. ვარშავაში მოდიან ბევრი ემიგრანტები სამხრეთ რუსეთის გუბერნიებიდგან.

ოდესა. იტალიურმა გემმა „ჯივამ“ მოიყვანა აქ სიკვდილს გადარჩენილი 40 კაცისაგან შემდგარი კომანდა პალერმოსთან დაღუპულ გემისა „მარია გორიაინოვა“.

ლონდონი. გაზეთს „Standard“ ატყობინებენ პრეტორიიდგან, რომ შალკ-ბურგერმა და სხვა წარმომადგენელთ ბურებისამ, რომელთაც ძლიერ ავიწროვებდნენ ინგლისელები და რომელნიც ერთხელ კინაღამ ტყვედ იყვნენ წაყვანილნი, გაგზავნეს ცხენოსანი კაცი ესტაფეტით ბალმორალში; ბალმორალში მოსვლის შემდეგ ისინი გაემგზავრნენ პრეტორიაში. აქ ისინი მიყვანილ იქმნენ კიტჩენერის უმთავრეს ბინაზე კარეტებით და კიტჩენერთან მოლაპარაკების შემდეგ წავიდნენ ორანჟეს რესპუბლიკაში.—გაზ. „Daily Chsonicl“-ის სიტყვით, ისინი წავიდნენ კრონშტადში.

ლონდონი. დილის გაზეთები სწერენ, რომ პრეტორიიდგან მოსული ამბავი გარკვევით არ არის გამოთქმულიო; ეს ამბავი იმედს გვაძლევს, მაგრამ საეჭვოა, იქნება თუ არა აღიარებული შალკ-ბურგერის ავტორიტეტი ბოტას, დელარეის და დევეტის მიერაო.

პარიზი. შატლეს თეატრში გამართული კონცერტი დოლინას მონაწილეობით სიუსულის მუსიკის ტრიუმფი იყო. ორკესტრმა კოლონას ხელმძღვანელობით აღასრულა გლაზუნოვის მე-6 სიმფონია, დოლინამ იმღერა არია „ბახჩისარაის შადრევანიდგან“ და სხ.

პეტერბურგი. დიდმა მთავრინამ ოლგა ალექსანდრეს ასულმა ინახულა პრეობრაჟენსკი პოლკის ლაზარეთი.—დიდმა მთავრინამ ელისაბედ თეოდორეს ასულმა და ელენე ვლადიმერის ასულმა ინახულეს ფაბერჟეს სამხატვრო ნაწარმოებთა საქველმოქმედო გამოფენა.—მათ უდიდებულესობათ და მათ უმაღლესობათ დიდმა მთავრინებმა მარიამ გეორგის ასულმა და ქსენია ალექსანდრეს ასულმა ინახულეს ალექსანდრე III-ის მუზეუმი და კამერ-იუნკრის უხტომსკის მიერ შედგენილი ბუდდას სარწმუნოების მღვდელ-მსახურების ნივთების კოლექცია.—გუშინ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრე თეოდორეს ასული და მარიამ გეორგის ასული დაესწრნენ სასულიერო ხოროთა კონცერტს.—მოუსავლობისაგან დაზარალებულ ადგილებში საზოგადო სატყეო სამუშაოთა მოსაწყობად გადადებულ იქმნა 2.750,000 მან.

12 მარტი

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკში“ დაბეჭდილია დაწვრილებითი ანგარიში მოსკოვში მომხდარ თებერვლის არეულობათა შესახებ და აგრეთვე დამნაშავეთა დასჯის შესახებ.—რუსეთის სათეატრო საზოგადოების საბჭოს პრეზიდენტის და თავმჯდომარის თანაშემწის თანამდებობაზედ დაინიშნა ანატოლი მოლჩანოვი.—„პრავ. ვესტნ.“-ში დაბეჭდილია სია იმ საქონელთა, რომელთა გატანა და შემოტანა აკრძალულია 1902 წ. იმ ადგილებიდგან, სადაც ხოლერა ან შავი ჭირია.

ლონდონი. საზოზადოებათა პალატა. ბროდრიკმა განაცხადა, რომ შალკ-ბურგერმა ორის კვირის წინ მიმართა თხოვნით კიტჩენერს, რომ თავისუფალი გზა მიეცა შტეინთან ერთად სამშვიდობო წინადადებათა შესახებ მოსალაპარაკებლად. კიტჩენერი მთავრობის ნებართვით დასთანხმდა.

მოსკოვი. პოლიციამ შეიპყრო აფერისტების წრე, რომლებიც ფულებს აგროვებდნენ საქველ-მოქმედო მიზნით და საკუთარ საჭიროებისთვის-კი ხარჯავდნენ. შეპყრობილთა რიცხვში ერთი გრაფია, ერთიც თავადი.

ბაქო. ბაქოდგან ორ ვერსზე გასქდა მატარებელი, მოკლულ იქმნა მაშინისტის ერთი თანაშემწე, მეორე დასახიჩრებულია.

ხარკოვი. დღემდის წითელის ჯვრის აქაურმა განყოფილებამ გაგზავნა ტფილისში შემახელთათვის 2,837 მან.

ჰააგა. ტრანსვაალის მთავრობის წევრთა ინგლისელებთან მისვლა აკვირვებს აქაურს ბურებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ამ მისვლას კავშირი აქვს კიტჩენერისათვის ბრძანების გაგზავნას, რომ აცნობოს ორივე რესპუბლიკის მთავრობათ ნიდერლანდების ნოტა და ინგლისის პასუხი მაზედ.

ლონდონი. მთავრობა არაფერს ამბობს ბურთა წარმომადგენლების პრეტორიაში მოსვლის მიზნის შესახებ.

პეკინი. ადგილობრივ ჩინურ დიპლომატიურ წრეებში საფრანგეთ-რუსეთის დეკლარაციას სთვლიან მშვიდობიანობის დაცვისათვის სასარგებლოდ.

იოკაგამა. ტოკიოს გაზეთები ამბობენ, რომ საფრანგეთ-რუსეთის დეკლარაცია ხელახლად უზრუნველ ყოფს მშვიდობიანობას აღმოსავლეთ აზიაში.

პარიჟი. Figaro ამბობს, რომ კარდინალმა რამპოლამ კურიის სიამოვნება გამოუცხადა რუსეთის და საფრანგეთის წარმომადგენელთ საფრანგეთ-რუსეთის ნოტის გამო, რომ ფრანგ და ბელგიელ მისიონერებს მონგოლიაში არავითარი დაბრკოლება არ მოელისთ.—დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აქ ცნობებმა ბერლინში რუსეთის სესხის გამოცემის შესახებ. პარიჟის გაზეთები კარგის აზრის არიან.

პეტერბურგის ბირჟა 8 მარტი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$96^5/_8$ გაყიდ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	$93^3/_4$ წვრ. გაყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$470^1/_2$ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$369^1/_2$ გაყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	307 გაყიდ.
$4^1/_2$% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	$94^7/_8$
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	$83^1/_4$ გაყიდ.
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	10,671 წვ. გაყ.
აქციები ,,	531 გაყიდ.
,, კასპიის ამხანაგობისა.	4,750 გაყიდ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	435 გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	—
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	226 წვ. გაყ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ, (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 28 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ., (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით, ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.), ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3, ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 5, დღის 3 ს. 35 წ. 9ғ)ს. 33 წ.), ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66, ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.) ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. (7 ს. 45 წ.).

ქუთაისიდგან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდგან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

ქუთაისიდგან ბათუმში:

1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდგან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადება

GRAND PRIX PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К-о

Одеколонъ ОЗОНЪ для дезодораціи воздуха въ комнатахъ и общаго туалета.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

ამოდის [illegible], ვაჟა-ფშაველასი	15 კ.
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძის	15 ,,
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	5 ,,
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირის	30 ,,
აბო ტფილელი, ე. გ.	30 ,,
Або Тифлисскій, Е. К.	5 ,,
ამბავი მადლის ქვისა	5 ,,
აკიდო საუმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	15 ,,
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. 50 ,,
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	40 ,,
ბენია.	10 ,,
ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელის	15 ,,
ბაში-აჩუკი, აკაკის.	30 ,,
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილის	1 მ. 30 ,,
გლეხი-კაცის ისტორია, III—IV ტ.	1 მ. 20 ,,
გამზრდელი, აკაკის	5 ,,
გასართობი	10 ,,
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—ს	15 ,,
გუსტავ ვაზა	5 ,,
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	60 ,,
გიორგი და მიხეილი	10 ,,
Древный Анчисхатскій соборъ.	
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანის	,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძის	,, 30
ჩანგი, ვ. აბაშიძის	1 ,,
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძის.	
Царица Тамара, М. Джанашвили	,, 50
ცისარტყელა, ავ. ცაგარელის	,, 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილის	1 ''
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	,, 50
Карбеловъ	,, 20
დედა, ანდერსენის	8 ,,
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი	1 მ. ,,
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	20 ,,
Двѣ святины въ Кахетіи, Е. К.	10 ,,
Давидъ Гареджели, Е. К.	15 ,,
ეტიუდები, თ. ხუსკივაძის	15 ,,
ელენე, მოთხრობა	5 ,,
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	40 ,,
Назрѣвшій вопросъ, Е. К.	20 ,,
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლის	5 ,,
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ.	3 ,,
პატარა ლორდის თავგადასავალი	30 ,,
პატრა ვეფხვის ტყაოსანი.	25 ,,
რამს განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილის	40 ,,
სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიონის და გრ. ყიფშიძის	1 ,,
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანის.	60 ,,
საერო დღესასწაული	25 ,,
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари	1 р. ,,
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლის.	3 ,,
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К	30 ,,
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი	1 მ.
თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძის	40 ,,
თამარ-დედოფლის სამკაული	10 ,,
თამარ ლაზნელი, ან. ფურცელაძის	50 ,,
ისტორია ქართულ სტამბებისა.	15 ,,
იანიჩარი, დ. ნახუცრიშვილის.	40 ,,
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II ნა. ქუთათელაძის	60 ,,
კოპერნიკიდან დარვინამდე	10 ,,
კანდელი, მ. ლელაშვილის	15 ,,
Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К.	1 р. 50 к.
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели	30 ,,
ლექციები ქართულის ანბანის	1 მ. 20
ლექსები განდეგილის	,, 50
ევდოშვილის	,, 50
რ. აბაშიძის	,, 60
დ. გაბრუაშვილის	,, 25
მელის წიგნი, კ. თაყაიშვილის	,, 40
მუშათა კითხვა	,, 15
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ყორღოშვილის	1 ,,
მოძღვრებანი, ი. გამრეკელის.	,, 40
მეცნიერებისთვის წამებულნი	1 ,,
Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева	1 50
ნელი და მატრაში, თრ. ელ. წერეთლის	,, 10
ნათელა, აკაკის	,, 20
ნიკოლოზ ნიკოლაძე, ზ. ჭ—ის	,, 20
ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი	,, 40
Новая постановка педагогическаго дѣла	,, 20
სამი პოემა, ან. ფურცელაძის.	,, 50
სხივი წარსულის, ი. გოგებაშვილის.	,, 5
საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრის, ი. გოგებაშვილის	,, 10
სახუმარო გასართობი	,, 10
სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი	1 ,,
სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ-სა	,, 30
საუმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილის.	,, 50
სუმბული, ს. ქვარიანის.	,, 20
ტარტიუფი, თარგ. ივ. მაჭავარიანის	,, 50
უკვდავთა ლაღადებანი, მ. ჯანაშვილის	,, 15
ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელის	,, 50
ქრისტინე, ე. ნინოშვილის	,, 20
ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილის	,, 40
ქეთო და სოსა, საუმაწვილო მოთხრობა	,, 5
ქართველების გათათრება, ზ. ჭ—ის	,, 25

მ კ უ რ ნ ა ლ ი

ნ. ტ. მულინი

იღებს ყურითა, ყელითა და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე და საღამოს 4—8-მდე. სუდებნი 17. (წლ.)



ფაბრიკის ნიშანი

Заявленъ отделу промышленности.

ფაბრიკის ნიშანი

გაფრთხილება

თამბაქოს ფაბრიკისაგან **ნ. ი. ბოზარჯიანცისა** შვილებითურთ ტფილისში. ამ ბოლო ხანს გამოვიდა გასასყიდათ ისეთი

პაპიროსები,

რომლებიც გარეგან შეხედულობით ძლიერ წააგავს ჩვენის ფირმისას, აწყვია ისეთივე ზომის კოლოფებში, ისეთივე ზედ-წარწერით ანუ შრიფტით და იგივე ფერის იარლიკით, რომელიც დიდი ხანია შემოღებული აქვს ჩვენს ფირმას და დიდათ გავრცელებული არის.

ყოველივე შეცდომის ასაცილებლად,

ჩვენ საჭიროდ ვსცანით და დავადგინეთ ჩვენსავე ეტიკეტზედ განსაკუთრებითი ნიშანი, რომელიც ნება-დართულია უმაღლესის მთავრობისაგან; **და ვინც ჩვენის ფაბრიკის მსგავსს ნიშანს გამოსცემს, ისინი დაისჯებიან კანონის ძალით.** ვსთხოვ ჩვენის ფირმის პაპიროსების მხმარებელთ, განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და ზედ-წარწერას

Н. И. БОЗАРДЖІАНЦЪ С-ми.

(10—282—8)

მთავრობის ნება-დართვით მომავალ 15 მარტს გაიხსნება ქ. ტფილისში

სამეურნეო სასწავლებელი

ბაღოსნობის, მევენახეობის, მებოსტნობის და მეფუტკრობის, რომელშიაც მთელი სწავლა დამთავრდება **რვა თვეში** (დაიწყება 15 მარტს და გათავდება 15 გიორგობისთვეს). სკოლაში მიიღებიან რუსულის წერა-კითხვის მცოდნე ყმაწვილები, არა ნაკლებ 15—16 წლისანი. ვინც სწავლას კარგად გაათავებს, მიეცემა მოწმობა. ფასი მთელის სწავლისა **რვა თუმანია.** ვისაც ჰსურს მიიღოს სკოლის დაბეჭდილი წესდება, უნდა გამოგზავნოს 7 კაპ. მარკა. თხოვნები მიიღება 10 მარტამდის, ჯერით.

ადრესი: Въ Тифлисъ, Завѣд Ивану Павловичу Ростомашвили (Давидов. переулокъ № 20 (10—301—4.)

Дозволено цензурою. Тифлисъ 12 мар. 1902 г. Типографія А. М. Сударевой, въ Тифлисѣ, Дворц. ул., д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.